



პარსკვეი, 9 თებერვალი 1896

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
10	8	5	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომ. ერთი შაური.

# ივრი

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

**გაზეთის დასაბარებლად**  
და განცხადებათა დასაბეჭდად  
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ  
გამარტ. საზოგადოების კანცელარიის.  
**ფასი განცხადებისა:**  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კაპ. მეოთხეზედ — 8 კაპ.

„ივრის“ ტელეფონი № 227

„ივრის“ ტელეფონი № 227.

თბილისში ქართველთა ამხანაგობის  
და წერა-კითხვის გამ. საზოგადოების  
წიგნის მალაზიებში  
და ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგ-  
ნის მალაზიაში  
ასეადასა და წიგნი

## გაბრიელ პეისოპოუსი იმპერატორისა

ფასი 30 კაპ.

(3-1)

განვიზრახე შევადგინო რამდენიმე  
გუნდი ქართული გალობისა და ყვე-  
ლა კუთხის საქართველოს სიმღერე-  
ბისა, რომლის ჩქარა განსახორციე-  
ლებლად ვასწავლი ნოტებს, თეორი-  
ას მუსიკისას, ლოტაბარობას და  
სურვილისამებრ ვერობიულ სიმღე-  
რებსაც იტალიანურად, რუსულად  
და ფრანგულად. მსურველი ამ სა-  
ხამოვნო საგნის სწავლისა, იმედია  
ბევრი აღმოჩნდება, რომელთაც  
ესთხოვ მობრძანდნენ მოსალაპარაკ-  
ებლად „დვორიანსკი ნომრებში“  
ცხრა საათიანი თორმეტამდის დი-  
ლით და ოთხი საათიანი ექვსამდინ  
ნაშუადღევს, თუ არა და თვითონ  
შეიკრიბნენ საღამო 3სურთ და იქ  
დამიძახონ მოსალაპარაკებლად.  
არტისტი მომღერალი ფილიმონ ქორიძე.

(2-2)

ფილიმონი, 9 თებერვალი.

წრევანდელი სეზონი დამთავრდა.  
საზოგადოება დიდი მადლობელი იყო  
ამ სეზონისა. ეს იმაში გამოიხატა,  
რომ აღტაცებულს „ვაშას“ დასას-  
რული აღარ ჰქონია უკანასკნელ  
წარმოდგენის შემდეგ. დაეკითხეთ  
ტიფლისის ყველა მკვიდრს და იგინი  
გიასუხებენ, რომ წრეულს დრამა-  
ტიული საზოგადოების გამგეობამ  
ბევრად უფრო კარგად წაიყვანა საქ-  
მე, ვიდრე სხვა დროსა და მაგალი-  
თად მოიყვანენ წინა წლებს. გამგე-  
ობამ წარმოდგინა 8 ახალი პიესა:  
„იაკობელები“ კოპკისი, „ცეცხლი  
უკომლოდ“ — თ. შარვაშიძისა, „მა-  
დამ სან-ჟენი“ — სარდუსი, „მედია“  
სუვორინისა, „ქირვეული ცოლის  
მორჯულება“ — შექსპირისა, „ფიგა-  
როს ქორწინება“ — ბომარშესი, „პირ-  
ველი ბუზი“ — ველიჩკისი და „ურ-  
ელ აკოსტა“ — გუცკოსი. ბევრი შრო-  
მა და ხარჯი გასწია გამგეობამ ამ  
პიესების წარმოსადგენად და ზოგი-  
ერთი მათგანი, მაგ. „მადამ სან-ჟე-  
ნი“ ისე მშვენიერად იყო წარმო-  
დგენილი, რომ განცვიფრებაში მო-  
იყვანა ისინიც, რომელთაც ეს პიე-  
სა ვერობიულს სცენებზედ უნახავთ.  
ქებისა და მადლობის მეტი არა გვე-  
თქმის რა, მაგრამ ყოველ ბრწყინვალე  
მნათობსაც აქვს შავი წერტილები და  
ჩვენი მოვალეობა არის სინათლეს-  
თან ეს პატარა სიბნელეც აღვნიშ-  
ნოთ. დარწმუნებული ვართ, თუ  
ჩვენი აზრი საფუძვლიანად იცნო,  
გამგეობა ყურადღებას მიაქცევს მას.

უნდა თავი დამ მოვიშოროთ ეს უც-  
ნაური ჩვეულება, რომ ყოველივე  
საქმე სამადლოდ, საქველ-მოქმედოდ  
გარდავქმნათ. უნდა ვეცადოთ საზო-  
გადოება მივზიდოთ ჩვენს წარმო-  
დგენებზედ არა იმიტომ, რომ იგი  
ქართულია და ქართულ თეატრის და-  
ხმარება ჩვენი მოვალეობაა, არამედ  
მიტომ რომ ამ წარმოდგენებზედ  
სიარული სასიამოვნოა, რომ იგი  
საზოგადოების ესტრეტურის გრძო-  
ბების დამაკმაყოფილებელია. დიერ-  
თმა ნუ ქმნას და არც გვინდა შევს-  
წამოთ ჩვენ საზოგადოებას ისეთი  
გულ-გრილობა, ისეთი მტრული გა-  
ნწყობილება ქართულის საქმის მი-  
მართ, რომ რაც უნდა კარგად იყოს  
იგი მოწყობილი მინც გვერდს აუ-  
ხვევს. მარა თანაც დიდი უსამართ-  
ლობა იქმნება, რომ საზოგადოებას  
ვაყიდვინოთ ახსატელოვის გამოცემა  
იმიტომ, რომ ქართულად ნაწერია,  
ანდა თეატრში სიარული დავაძლოთ,  
მარტო მიტომ, რომ იგი ქართულია.  
რომ ასე არ დაგვემართოს და კარ-  
გად მოეწყოს წარმოდგენების საქმე,  
საქიროა გარდა რეპერტუარის განა-  
ხლებისა, არტისტების განახლებაც.  
ჩვენს დასს ჰყავს კარგი არტისტი კაცე-  
ბი, მხოლოდ მიუცილებლად საქიროა  
არტისტი ქალების მოპოება. უამისოდ  
ვერც ერთი პიესა ვერ მოახდენს კარგს  
შთაბეჭდილებას. მე მგონია პროვი-  
ციებში მოიძებნება საკმაოდ ნი-  
ჭიერი არტისტები, რომელიც უნდა  
მოვსძებნოთ მხოლოდ და თუ თავდაპი-  
რველად რაიმე ნაკლი ექმნა გამოუ-  
ცდლობის გამო, ამას შემდეგში აი-  
ცილებს, თუ-კი ნიჭი ექმნება, რასა-  
კვირველია.

ამასთან იმასაც უნდა ვცადოთ,  
რომ ზედი ზედ ერთი და იგივე არტი-  
სტი არ თამაშობდეს, ერთ დღეს რომ  
ერთი ითამაშებს, მეორე დღეს  
მეორემ უნდა ითამაშოს. ერთფერო-  
ბა მეტად მოსაწყენია, თუ გინდ გე-  
ნოისი არტისტი თამაშობდეს ყოველ  
დღე.

წრევანდელი სეზონის დაკვირვება  
ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ კო-  
მედები უფრო ენერგება ჩვენს დასს.  
ამიტომ საქიროა საუკეთესო ვერო-  
ბიული კომედია ვსთარგმნოთ და  
იგინი წარმოდგინოთ ხოლომე. კო-  
მედების კარგად აღსრულება შეიძ-  
ლება იმასაც მივაწეროთ, რომ ოთხი  
მშვენიერი არტისტი გვყავს კომიკო-  
სი, რომელთაგანაც ორი დიდი ტა-  
ლანტიანე არიან დასაჩუქრებულნი.  
მიუცილებელია აგრეთვე რეჟისორი  
უფრო სასტიკად ექცეოდეს არტის-  
ტებს და მოითხოვოს მათგან როლე-  
ბის ზეპირად ცოდნა. ძალიან იშვია-  
თად ნახავთ ისეთს პიესას, რომლის  
როლებიც ჩვენმა არტისტებმა კარ-  
გად იცოდნენ. ყოველივე ეს აღვი-  
ლი აღსასრულებელია და იმედი  
გვაქვს გამგეობა ეცდება მომავალში  
მისპოს ეს ნაკლებუნებანი და  
ამით უფრო დიდის მადლობით ალა-  
ვსებს ჩვენს გულს.

კიდევ ერთი შენიშვნა და ეს-კი  
სულ სხვა საგანს ეხება. დრამატი-  
ული საზოგადოება არის მეტად სი-  
მბატიური დაწესებულება. იგი სცდი-  
ლობს და უნდა კიდევაც ეცადოს  
კარგად წაიყვანოს თეატრის საქმე.  
ამიტომაც საზოგადოების ვალდებუ-  
ლებაა ყოველნაირი თანაგრძნობა აღ-  
მოუჩინოს მას.

თავის მხრით დრამატიული საზო-  
გადოების გამგეობაც უნდა დიდის  
ყურადღებით ეპყრობოდეს ჩვენ სა-  
ქიროებას თეატრის საქმეში და კარ-  
გად უძღვეოდეს მას. ერთი ამ სა-  
ქიროებათაგანი და უღარესი იყო სა-  
ხალხო წარმოდგენების გამართვა.  
ცალკე პიესებმა ვერა გააწყეს რა,  
რადგან ვერ მიიღეს ნებართვა ვისა-  
ნაც ჯერ არს. ამ შემთხვევაში საზო-  
გადოებამ ვერ გამოიჩინა საქირო-  
ენერგია და ცოტა არ იყოს გულ-  
გრილად მოიქცა, მაგრამ ჩვენ  
არა ვპატივობთ იმედს, რომ იგი ეც-  
დება ამ საქმის მოწყობას შემდეგისა-  
თვის მინც, და რაც შეიძლება მა-  
ღე მიაწვდის ხალხს წარმოდგენებს.

შენსა. ეკვი არ არის, რომ ორიოდ  
წლის განმავლობაში ჩრდილო-კავკა-  
სის სკოლებში მოიფინება პირდაპირი  
წერა და გაუქმდება ირიბული.  
პირდაპირი წერის სამშობლოში-  
კი, ესე იგი საქართველოში, სადაც  
ეს ხელი მეფობდა თხუთმეტი საუ-  
კუნის განმავლობაში დღევანდელ-  
დღემდე, იგი ახლა შეიქნა აკრძა-  
ლულ ხილად, და მის ნაცვლად სა-  
ვალდებულოდ გახდა უმჯავისი ირიბი  
ხელი. გავიჩინა?

\* \* \* რუსეთსა და კავკასია  
ში 1895 წ. მოსულა თამბაქო  
3,918,349 ფუთი, — 1894 წლისაზე  
24,887 ფუთით ნაკლები, ხოლო  
1893 წლისაზე 1,039,358 ფუთითა.  
თამბაქო წარსულს 1895 წელს  
47,593 დესეტინაზე ყოფილა დათე-  
ხილი და საშუალო რიხცივით 82  
ფუთი მოსულა. (კავკ. სამეურ.  
გაზ.)

\* \* \* სამოციან წლებიდან ქალაქის  
დებულების შემოღებამდე სახელმწი-  
ფოს ქალაქის სხვა-და-სხვა საქიროე-  
ბაზედ დაუხარჯავს და დარჩენილა  
ქალაქზედ ნედლომკად კარგა დიდი  
ფული, რომელიც დღეს ას-ორმოც  
ათას მანეთამდეა. ასეთის დიდი თან-  
ხის გადახდა ქალაქისათვის დღეს  
შეუძლებელია, ამიტომ ქალაქმა და-  
ადგინა იშუამდგომლოს ეს ნედლომ-  
კები ეპატოს. (ატფ. ფურც.)

\* \* \* როგორც კავკ. სამეურნ.  
გაზეთი იუწყება: საუფლისწულო  
უწყების მიერ ინდოეთსა, ჩინეთსა,  
იაპონიასა და ამერიკას ვაგზავნილს  
ექსპედიციას ჩაის მოყვანის კულ-  
ტურის შესასწავლად თითქმის მთე-  
ლი წელიწადი დაუყვია შორეულს  
აღმოსავლეთში და მექსიკიდან ვლა-  
დივოსტოკს წამოსულან. ვ.ო. სიმო-  
ნსონი დეკემბრის უკანასკნელს რი-  
ცხვებში უნდა წამოსულიყო ჩინე-  
თიდან ბათუმს, სიმონსონს თან მო-  
აქვს ჩაის მცენარეები და მოჰყავს  
იაპონელნი და ჩინელნი ჩაის მოსა-  
ვლელოდ. ჩაის ბათუმსა და ჩაქვას  
ჩამოიტანენ მალე, აქ სიმონსონი  
დარჩება გაზაფხულამდე და აპრილში  
ისევ წავა ცვილონის კუნძულზე, შე-  
მდეგ ჩინეთსა და იაპონიას, რათა  
უკეთესად შეისწავლოს ჩაის კულ-  
ტურა. ერთის წლის შემდეგ ექსპე-  
დიციის წევრი უკან დაბრუნდებიან  
და უკანასკნელად ჩამოიტანენ თან  
ჩაის.

\* \* \* დ. ცხინვალი: შაბათს, 3-ს-  
თებერვალს, ცხინვლის სცენის მო-  
ყვარეთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოსა  
და ადგილობრივის სცენის სასარგე-  
ბლოდ გამართეს წარმოდგენა. ითა-  
მაშეს: „ბაიუში“ ა. ცაგარლისა და  
ვოდევილი „გულმა იგრძნო“ გაღმ.  
საფაროვ-აბაშიძისა. წარმოდგენამ სა-  
ერთოდ კარგად ჩაიარა. სამწუხაროდ  
ხალხი ძირეულ ცოტა დაესწრო. მთე-  
ლი შემოსავალი იყო 52 მან. და  
19 კაპ. ხუთი მანეთი ხარჯს მოუწ-  
და და 47 მ. და 19 კაპ. გადაეცათ  
წევრთ სცენისა და წიგნთ-საცავის

გასაუმჯობესებლად. დიდი მადლობის  
ღირსია კნ. ეფ. მაჩაბლისა მოთა-  
ვე ამ წარმოდგენისა, რომელმაც  
არ დაიშურა არავითარი შრომა.

\* \* \* სოფ. მუხრანში: შარშან ს.  
მუხრანში თავადმა გიორგი კოსტან-  
ტინეს ძე ჩიჩუამ მოიტანა აბრეშუმის  
ქვის თესლი, დაურთა მუქთად ვი-  
საც-კი მსურდა და დაართა აგრეთვე  
ხალხი, როგორც უნდა მოველოთ ქი-  
ნისათვის. აბრეშუმის მოსავალი საკ-  
მაოდ კარგი იყო, ვინც კი ხელი შე-  
უწყო. ამის გამო, თუმცა შარშან  
ბევრმა გლეხთაგანმა არ ისურვა ესა-  
რგებლნა მუქთი ქვის თესლითა, ეს-  
ლა ბევრი მათგანი ამბობს, ოღონდ  
ქვის თესლი გვიშოვეთ და კარგად  
მოველოთ ქიასაო, კარგად შევის-  
წავლით მისს ხელსაო.

ეს მეტად სასარგებლო საქმეა, მით  
უფრო, რომ მუხრანში ყველა მეკო-  
მურს უდგია თუთის ხეები და თუ  
ხალხი მიეჩნია აბრეშუმის მოყვანას,  
ამ ხეების რიცხვსაც ადვილად გაამ-  
რავლებს და მისი ეკონომიური მდგო-  
მარობაც; ეკვი არ არის, რომდენა-  
დაც იქნება გაუმჯობესდება.

იმედია, თავადი ჩიჩუა თავისს და-  
წყებულს საქმეზედ ხელს არ აიღებს  
და წრეულსაც დაურთებს მუხრანე-  
ებს ქვის თესლს მუქთად.

\* \* \* სოფელ ელტერანში (გორის  
მაზრა) მოხდა ერთი უბედურება: 27  
იანვარს ჩამოწვა ზევი და დაიტანა  
ორი კომლი ოსი ფუხაშვილები. ხა-  
ლხმა გამოასწრო გარეთ, მხოლოდ  
მოჰყავა ერთი თექვსმეტი წლის გოგო  
და სარჩო საბადებელი. ზარალი 200  
თუმანს აღემატება.

**გაგონსმენება ყოვლად უსამად-  
დლოდის იმპერატორის ვინსკოპო-  
ნის გაბრიელის ცხედრისა მის  
საკუთარ სახლიდამ მუთისის  
კათედრალურ საკრებულთა ტა-  
ძარში.**

ყველანი დიდ მწუხარებაში ჩაგ-  
და საყვარელის მღველ-მთავრის გარ-  
დაცვალებამ. აქ ყველანი ლოცვით  
და დიდის მოწოდებით იხსენიებენ მის  
სახელს. სხვა-და-სხვა ადგილებიდან  
გზავნიან დეპეშებს, რომელშიცაც აც-  
ხადებენ თავიანთ ღრმა მწუხარებას  
მღველ-მთავრის გარდაცვალების გა-  
მო. თვით ქუთაისში მუდამ დღე პა-  
ნაშვიდებს იხდიან აქამომდე აქაურ  
საკრებულთა ტაძარში. გარდა ამისა  
პანაშვიდი გარდისხდეს შემდეგ და-  
წყებულებათა: სათავად - აზნაურო  
სკოლამ, ქალაქის თვით მართველო-  
ბამ, საჯარო კლასიკურ გიმნაზიამ,  
საქალაქო წმ. ნინოს სასწავლებელმა  
საქალაქო ენარქიალურ სასწავლებელ-  
მა და სხვ. სხვა-და-სხვა ქალაქებიდან  
და მახრებიდან ჩამოვიდა ხალხი და  
სამღველოება და უმჯეულია გაცი-  
ლებით მეტიც ჩამოვიდოდა, რომ  
უგზობას და ბუნებას ხელი არ შე-  
ეშალა. ამ შემთხვევის გამო მრავ-  
ლად ისყიდება ყოვლად უსამღვე-  
ლოდის გაბრიელის სურათები. თი-

## ახალი ამბავი

\* \* \* კავკასიის მთავარ-მართველს,  
თანხამდ კავკასიის სამოსწავლო  
ოლქის მზრუნველის შუამდგომლო-  
ბისა, თავისუფალ ვაკანსიაზე კავკა-  
სის სტიპენდიანტად ჩაურთეს ნი-  
მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენ-  
ტი ალექსანდრე ჯავახიშვილი.

\* \* \* როგორც ქუთაისიდან იუწყე-  
ბიან, თოვლი ჯერ კიდევ არ შემწე-  
ყდარა და უფრო უმეტებს. თოვლი  
ლამის არის სახლები სულ მთლად  
დაფაროს; გუმინ-წინ, 7 თებერვალს  
თოვლი კიდევ მოდიოდა თურმე.

\* \* \* კავკასიიდან გვწერენ: „ეს  
ორი წელიწადია, რაც აქაურს ქარ-  
თულს სკოლაში მისმა მასწავლებელ-  
მა ბ-ნმა ბოცვაძემ შემოიღო პირ-  
დაპირი ხელი როგორც ქართულს,  
ისე რუსულს წერაში საცდელად,  
დირექტორის გრუშევსკის თანხმო-  
ბით. ცდამ მშვენიერი ნაყოფი მოი-  
ტანა. ამაზედ წარსულის წლის ში-  
რუაქს-შიატ-კი იყო დაბეჭდილი  
ცნობა. ამის გამო აქაური დირექ-  
ტორი გადაიქცა მოსარჩლედ პირ-  
დაპირის ხელისა და მას სურს, რომ  
პირდაპირი წერა სხვა თავისს ქვე-  
ვროდ სკოლებშიაც იქმნას შემო-  
ღებული. ამ მიზნით მან წინადადება  
მისცა ბ-ნს ბოცვაძეს, რათა მან  
მოამზადოს და წაიკითხოს პირდაპირი  
წერის შესახებ რეფერატი მასწავ-  
ლებელთა კრებაზედ, რომელიც მოხ-  
დება თებერვლის განმავლობაში.  
ჩრდილო-კავკასიის სხვა დირექციების  
მასწავლებლებშიაც აღიძრა თანაგრ-  
ძნობა პირდაპირი წერისადმი ბევრნი  
სთხოვენ ქართველის სკოლის მასწავ-  
ლებელს პირდაპირი წერის ნიმუ-





თქმის ყოველ მაღაზიასა და ღუქანში გამოფენილია მისი სურათები. ყოველად უსამღვდელოების გამოხვეწება დანიშნული იყო შაბათისათვის მ თებერვალს 9 საათზე დილით.

გათენდა თუ არა მ თებერვლი, ხალხი მიაწყდა განსვენებულის საკუთარ სადგომს, რომელიც იმყოფება ეგრედ წოდებულ არქიელის მთაზე ბაგრატიის ძეგლის ტაძრის ნანგრევით მახლობლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს ქუთაისში ერთობ ცალი ტაროსი იდგა, მიუხედავად იმისა, რომ წინად მოსულის ღრმა თოვლის წყალობით აქ ქუჩებზე მისვლა-მოსვლა მარხილებსაც-კი ძლიერ ძნელია და ზოგ ადგილას-კი მარხილით-კი არა ფეხით სიარულიც სრულიად შეუძლებელია, ერთის საათის განმავლობაში განსვენებულის სადგომი, მის წინ ვრცელი ეზო და იქ მიმავალი გზა ხალხით აივსო. უნდა გენახათ, რა გულის-გამგმირავი სურათი იყო განსვენებულის სადგომში იმ დროს, როდესაც ცხედარი უნდა გამოეტანათ რეპროცესი და დაძვრულიყო. ეს რაღაც არა ჩვეულებრივი წუთი იყო, როდესაც ყოველი იქ დამსწრე გრძობდა, რომ მან დაჰკარგა უსაყვარესი და უძვირფასესი ქემბარტი ადამიანი. ყველანი, როგორც ერთი კაცი, სტიროდნენ და ეთხოვებოდნენ გვამს იმ დაუვიწყარ გაბრეხილას, რომელმაც იმდენი სიყვარული, იმდენი თანაგრძნობა დასტოვა ყოველში, რომელიც თვით სტიროდა და აფრქვედა მღვდლურ ცრემლსა თავის ხალხის ყოველ უბედურების გამო. იმ წუთის სტიროდა და ემშვიდობებოდა ნეტარ-ხსენებულ გაბრეხელს არა მარტო მისი მონათესავენი და მოყვარენი, არა მარტო მახლობელნი ნაცნობნი, არა, მისი ქირისუფალი არის მთელი ხალხი, სტიროდა, მას როგორც თვისტომი, აგრეთვე უცხო, როგორც მოხუცი, ისე ყრმა, როგორც ღარიბი, ისე მდიდარი, როგორც გლეხი, ისე თავადი ან აზნაური, მას სტიროდა ყოველი...

სწორედ ათი საათი იყო, როდესაც ცხედარი გამოასვენეს გარედ ეზოში და პროცესია დაიძრა. პროცესიას მიუძღოდნენ ყოველად სამღვდლო ბესარიონი და მრავალი სამღვდლოება, რომელსაც მიჰქონდა კუბო მთელი გზა სადგომამდე დაწყებული ვიდრე ტაძრამდე, წარმომაღგენელი სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და ყველა წარჩინებულნი პირნი ქალაქისა, სხვა და-სხვა სასწავლებელთა მოწაფენი თავისი უფროსებით: სავაყო გიმნაზიისა, სასულიერო სასწავლებლისა, სემინარიისა, ეპარქიალურ სასწავლებლისა და სხ. ვალოდნენ ქართულად და რუსულად რამდენიმე ხორო: ეპისკოპოსის ხორო, გიმნაზიის ხორო, ეპარქიალურ სასწავლებლის ქალების ხორო, სათავად-აზნაურთა სასწავლებლის ხორო.

პროცესიას, რომელსაც თითქმის ნახევარ ვერსის მანძილი დაეკავებია, სულ წინ მიუძღოდა სხვა-და-სხვა ხელოვანთა ამკრები თავიანთი ბიარაღებითა. პროცესია ეგრედ წოდებულ გაბრეხლის ქუჩიდან (ამ ქუჩას განსვენებულის პატვის საცემლად უწოდეს ეს სახელი მისი სიცოცხლე-შავი) დაეშვა ვარონცოვის ქუჩაზე, შემდეგ გაემართა მიხეილის ქუჩისაკენ, გაიარა ნაწილი ალექსანდრეს

ქუჩისა და აქედამ ცხედარი მისცენეს საკრებულო ტაძარში. თვით ტაძარში რომ აღარ იყო ადგილი, ხალხი მოეფინა გარედ მოედანზედ. გარდახედეს წირვა და პანაშვიდი განსაკუთრებით ამგვარ შემთხვევათვის დადებულ წეს-რიგით. წირვა, რომელიც დაიწყო მეთერთმეტე საათზედ, განეგრძო ნაშუადღევს სამ საათამდე. წირვის შემდეგ უწინარეს ყოვლისა წაკითხულ იქნა ის უკანასკნელი სიტყვა საყვარელის მღვდლო-მთავრის გაბრეხლისა, რომელიც განსვენებულს ანდერძად დაეტოვებია, რათა იგი წაკითხულიყო ხალხის წინაშე მისი სიკვდილის შემდეგ. დაწერილი იყო ქართულსა და რუსულს ენაზედ და აღნიშნული 1890 წ. თარიღით. ამ სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მსმენელებზე. შემდეგ წარმოთქმულ იქნა ამ შენთხვევის შესაფერი და ყოველად უსამღვდლოების გაბრეხლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი სიტყვა სამღვდლო პირთაგან. სხვათა შორის სიტყვა წარმოთქმეს: ყოველად სამღვდლო ბესარიონმა, საკრებულო ტაძრის დეკანოზმა მ. ცაგარეიშვილმა, „მწყემსის“ რედაქტორმა დეკ. მ. დამბაშიძემ, აქაურ სემინარიის რექტორმა, მღ. ქეიშვილმა და სხვ.

თანახმად განსვენებულის მღვდლო-მთავრის გაბრეხლის სურვილისა ცხედარი დასაფლავებულ უნდა იქნეს განათის მონასტერში, ხოლო დრო დასაფლავებისა ჯერ არ არის გარდაწყვეტილი. მანამდე-კი ცხედარი დასვენებულ იქნება კათედრალურ საკრებულო ტაძარში, რათა ხალხს შეეძლოს ეთხოვის მას. მუდამ დღე აუარებელი ხალხი დადის განსვენებულის ცხედართან გამოსაშვიდობებლად და თაყვანის საცემლად.

გ. გ-ნი.

**ქ რ მ ს კ მ დ მ ნ ც ი ა.**

**ძუთანი.** ვერ წყაღ-დიდობასაგან თავზარ-დაცემულა ხალხს განს არ მოსულა და ასეა მეორე არა წყაღ-დიდობაზედ ნაგება უბედურება ეწვათ. დღეს მთელი ქუთაისის მხარე თათქმის თოვლს ქვეშ არის დაფარული. სანდოდაკი სოფლებზეა დღეთს ახსანად და ტრაგედიები, ყოველ მხარე გზა-შეგრუნი შაშთა შესტყეობან თვისს ნახეკად ჩამოქცეულს სახლას ტყარებს და ელანს ან ესა დაგვეტყვა წყვილად, ან ესა. ამას ზედ დაწრთეთ ამგვარადე გაწირული მდგომარეობა სასო-მარადეა მხარე და თქვენს თაყვანს წარმოუდგება საშინელი სურათი. ამ უაფასო არან დღეს ის სოფლები, რომელნიც ჩამდინებე გუჩისს მანძილზედ არან გაშენებულნი ქუთაისადამ და შეძლება გვეძლევა როგორმე გავაგათ მათი აზნაუი, მკანამ, რას შერბიან ის სოფლები, რომელთაც თოვლმა სრულებით მოუჭრა გზა და რომელთა აზნაუი სულ არ მოდის ჩვენს ყურამდე, არაინ იცის. ადვილი წარმო-სადგენია, რა მდგომარეობაში იქნებან ისინი, რადესაც თათ ქუთაისი გულ-მოსაგლავს სურათს წარმოადგენს. მთელს ქალაქში ერთ-ერთი ქუჩა-ღაა, სადაც შეიძლება ვა-გავლასით მიმოსვლა. სახლი არ არის, რომ წყაღი არ ჩადიდეს შიგ. თოვლი სახლებისა სახურავამდე სიქეს. ზოგან თოვლს ქვეშ გარბებია გასტყეს და ისე დადას. სიცივე აუტანელია. საღ-

მა, მიჩვეულმა თბილს ზამთარს, ჩვეულებრივად არც წყის შეინახა საკმაო შე-შა და დღეს სრულებით უშეშოთ არან დატოვებულნი. რაც შეეხება სანოვარებს არც ესა გააკეს საკმაო და თუ გუთავებთ, როგორმე იმსახე მამასისხად. ამ მხარე წინეთ ქუთაისს ახლო-მასლო სოფლები სასოფლო-მეურ-ელებს, მაგრამ დღეს თოვლმა ისე შე-მოგზულა ყოველ მხარე, რომ ბე-რადე გინდადეს ვერსადამ ვერსა მოვა-ქედნით. გამკლამ განხარას გამართოს ხელის მოწეა ამ უბედურთა სასარგებ-ლოთ, რომელნიც კარგ დროსაც სავა-ლალო მდგომარეობაში არან და დღეს სიმშვიდის და სიცივის მსხვერპლად არან დამტოვებულნი. ამდია სასოვ-დაკება გამოიჩინეს გულგუთადობას და მოწყალებას ხელს გაუწყდას თავის უბედურ მოძველს.

**ხმა პროვინციიდან.**

წარსული კვირა, იანვრის შვიდი-დამ დაწყობილი იმავე თვის 15-მდე, გორის საოსტატო სემინარიისათვის სწორედ გაგრძელება იყო შობა ახალ-წლის დღესასწაულებისა. ამ შვიდი-ოდ დღის განმავლობაში მოხსენებულმა სასწავლებელმა ისეთი სასი-მოვნო ამბები ნახა, რომელთა მსგავ-სი ვგონებ მთელს თავის სიცოცხ-ლეში არ გამოუცდია. იანვრის შვიდს საოსტატო სემინარიის ეწვია წინამ-ძღვარიანთ სკოლის მასწავლებელი ბ. ხუნდაძე, რომელიც დარჩა აქ მოხსენებულ თვის 14-მდე. ამ დროს განმავლობაში იგი ყოველ დღე ებ-ასებოდა სემინარიის მოსწავლეთ ვენახის შემუშავებასა და ღვინის და-ყენებაზე. მისი ცოცხალი, ადვილად გასაგები ენა, მისი საფუძვლიანი მკვლელობა აღნიშნული საგნის შესა-ხებ და ის პრაქტიკული ხერხიანო-ბა, რომელსაც ის იჩენდა ამ ბაასის დროს, ცხადად აჩვენებდნენ, თუ როგორის შეგნებით აქვს შესწავლი-ლი თავისი დიდ-მნიშვნელოვანი სა-განი, როგორ უყვარს იგი ამის გა-მო, რანარიის სიფთხილით და პატი-ვისცემით ეკიდება მას. პირველსავე ბაასზე ბ. ხუნდაძემ მოიბოვა თანა-გრძნობა მთელი სემინარიისა უფრო-სილამ დაწყობილი უკანასკნელ მოს-წავლემდე.. და რამდენიც დრო გა-დიოდა, იმდენად უფრო ძლიერდებოდა ეს საყოველთაო თანაგრძნო-ბა, რომელიც უკანასკნელ თმს გულ წრფელ პატივისცემა გარდიქ-ცა. მისგან აღტაცებულმა სასწავლე-ბლის მეუფროსემ აღარ იცოდა, რო-გორ გამოეცხადებინა მისთვის თავი-სი თანაგრძნობა და მთელი კვირის განმავლობაში ისე ევლებოდა თავს, როგორც გონიერი მამა თავის საყვარელ შვილსა!

იანვრის 14-ს გამოეთხოვა სემინა-რიის ბ. ხუნდაძე, ამ დღეს სემინარი-აში მოხდა მეორე ისეთი ამბავი, რო-მელმაც მიიზიდა ყურადღება მთელი აქაური ქართველი საზოგადოებისა. მოხსენებულ სასწავლებლის წმიდა ნინოს ეკლესიაში წირვა შესრულ-და ქართულად. გალოდნენ ქართვე-ლი მოსწავლენი, რომელთაც თავი-ანთ შეწყობილის ხმით, საუცხოვო გალობით დიდი შთაბეჭდილება მო-ახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე. მლოცველნი იმდენი მოგროვდნენ, რომ რაკი ეკლესიამ ვერ დიტია,

მრავალი მათგანი დერეფნიდამ ისმე-ნდნენ სამღვთო მსახურებასა. წირვის დროს ამ სასწავლებლის სამღვთო სჯულის მასწავლებელმა დეკანოზმა ლაზ. ტურციევმა წარმოსთქვა მოკლე ქადაგება, რომლითაც საუცხოვოთ განმარტა მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანალელების მა-ღალი მნიშვნელობა არა მარ-ტო ქართველობისთვის, არა-მედ ყოველი ქრისტიანისათვის. „ასე-თი სიამოვნებით დიდი ხანია აღარა მდგარვართ ეკლესიაშია“, კმაყოფი-ლებით ანობდნენ მრავალნი, რო-დესაც პარაკლისის გათავების შემდეგ გამოდიოდნენ ტაძრიდან.

ამავე დღეს საღამოზე, გაიმართა სემინარიაში სხვა გვარი დღესასწაუ-ლი. დილით ქრისტიანობის დიდე-ბულს მასწავლებელს და გამავრცე-ლებელს ბრწყინვალე სამღვთო მსა-ხურებით გამოუცხადეს თაყვანის ცე-მა, ხოლო საღამოთი გაიმართა დღე-სასწაული აწინდელი პედაგოგის მა-მა-მთავრის, დიდებული პესტალოცის პატივსაცემლათა. როგორც, ექვი არ უნდა, მოგვხსენებთ, წელს ამ თვეში შესრულდა ის ორმოც-და ათი წელიწადი მას აქეთ, რაც დაიბადა უცდავი მამა და თავდადებული მე-გობარი მოსწავლე ახალგაზობისა. შინაურულად, მაგრამ გულწრფელის გატაცებით იღვრესასწაულა ეს სასი-ქაღულო დღე მოხსენებულმა სასწა-ვლებელმა. სხვათა შორის ორმა უფ-როსი კლასის მოწაფემ: ბურჯანა-ძემ და ხატის-კაცმა წაკითხა პეს-ტალოცის ცხოვრებასა და მის პე-დაგოგიურ პრინციპებზე. ბევრი მეტის-მეტად საგულსხმიერო აზ-რები იქმნენ ამ დროს წარმოთქმუ-ლნი! ცხოვრება და მოძღვრება დი-დებულის კაცისა ბოხჩასვით გადუ-შალეს წინ დამსწრე საზოგადოებას ახალგაზდა ლეტორებმა. მოსწავლე ახალგაზდა სულგანაბული ყურს უჯდებდა ამათ დიდათ საყურადღებო ლაპარაკსა და აღტაცებულის ტაშის კვრით დაჯილდოვა. როდესაც შე-სწყვიტეს მათ ეს ლაპარაკი.

კარგათ რომ ჩაუვირდეს ადამიანი პესტალოცის პედაგოგიურ მოძღვრე-ბასა, მაშინათვე შენიშნავს, რომ მას თავისი, საკუთარი ძლიერ ცოტა აქვს ამ მოძღვრებაში. პესტალოცისაგან წარმოთქმულ პედაგოგიურ პრინცი-პებს ცხადი ბეჭედი აზით ამოს კამე-ნსკის და ენ-ჟაკ რუსოს გავლენი-სა. ამიტომ, ჩემის ფიქრით, თეორიულ მოძღვრების მხრივ პესტალოცი ვერც კამენსკის და ვერც რუსოს თანასწო-რათ ვერ ამოუდგება გვერდში. მაგ-რამ, სამაგიეროთ, პესტალოცის პი-როვნება გაბრწყინებულია ერთი ისე-თი ზეციური მადლით, რომლითაც იგი აღმატება ორივეს; რომლითაც ის უახლოვდება თვით მაცხოვარსა. ეს მადლი არის—განუზომელი, მარად ცხოველი და აღზნებუ-ლი სიყვარული ადამიანისა მო-მეტებულად-კი მოზარდი თაობი-სა. მთელი ცხოვრება ამ დიდებული კაცისა არის განხორციელებული სი-ყვარული, არის თავ-დადება მოზა-რდი თაობისათვის. მან ცხადათ და-ანახვა მთელს კაცობრიობას, თუ როგორ უნდა მიდიოდეს აღზდა-სწავლება ახალგაზობისა და ამით საუკუნო საქალაგი აუგო იმ საზიზ-ლარ მოძღვრებას, რომელსაც დღე-

ბოძათ ედგა აზრი, ლამაზათ გამო-თქმული ქართულ ანდაზაში: შვილი მტრულათ გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებოა. გულ-წრფელი ი-ყვარული და პატივისცემა... იი ის ნათელი გზა და კვალი, რომელსაც პესტალოცი ადგა მთელს თავის სი-ცოცხლეში. ამისთანა მოძღვრება, რაღა თქმა უნდა, სრულიად უარსა ჰყოფს ყოველსავე მას, რაც დამყარებულია შიშზე, ძალმომრეობაზე, მონურ მორჩილებაზე, რომელთაც განუყრელად უკან დასდევნ დაფარული მძულვარება, ორბირობა, ათ-ასნაირი გაიძვრაობა, ფარისევლო-ბა. როგორც ეშმაკს არ შეუძლიან რაიმე სიკეთის ჩადენა, ისე შიში და ძალმომრეობა ვერას დროს ვერ აღ-ორძინებენ მოზარდ ახალგაზობის სულსა და გულშიღვთისა და მოყვარ-ის სიყვარულსა, მშვიდობისა და სათნოებისაკენ მიმართულ მისწრაფე-ბათა. ამის გამო იქ, სადაც შაშა და მონურ მორჩილებაზე დამყარე-რებული აღზდა სწავლა კმაწვილე-ბისა, არას დროს არ გამოიღვიან სხვა და სხვა ფერის უმართებულო, უკანონო მოქმედებანი. ამათ მოსას-პობლად იწერებინა მრავალი განკარ-გულებანი, იგზავნებინა ფიცხელი ბრძანებანი, ჩნდებინა თვალ-ყურის მკერალნი. რომელიც თითქმის იმა-ვე თანამდებობას ასრულებენ, რასაც საზოგადო ცხოვრებაში პოლიციის მოხელენი. ცხადია რა სამწუხარო შედეგიც უნდა მოჰყვეს ამგვარ წეს-წყობილებასახალგაზობა და მის აღ-მზრდელ-მასწავლებელნი იყოფებიან ორ, ერთმანეთზე გადამტერებულ, ბანაკებად, რომელთა შორის უჩინა-რი, მაგრამ მარად დაუცხრომელი ბრძოლაა გაჩაღებული. სიკმარისი სრულიად მკირეოდენი შემთხვევა, რომ ეს დაფერფლილი ნაღვერდალი მძულვარებისა გაღვივდეს და საზა-რელ ცეცხლის ალათ ავარდეს ჰაე-რში. ესე საშინლად ისჯება ადამიანი იმ ბუნებრივი, დვითური გზიდან გადაცილებისათვის, რომელსაც ჰქა-დაგებდნენ ენ-ჟაკ რუსო-კამენსკი და რომელიც ასეთის სავისებით გა-ნახორციელა პესტალოციმ!..

ვარდა ყველა ამისა პესტალოციმ უარ ჰყო და ხმა მადლა შეაჩვენა ისეთი სკოლაც, რომელიც სხვა-და-სხვა მდაბალი მოსაზრებით გზას უქ-ცევს თავის წმიდა მოვალეობასა. ამ წმიდა მოვალეობათ პესტალოციმ აღვიარა განვითარება ადამიანის სუ-ლიერ-ბორციელის ბუნებისა ნა-მდვილი მეცნიერული სწავლა-მოღვ-რებითა; ხოლო ამ განვითარების მიზნად მან აღნიშნა სიყვარული ღვთისა და კაც-სა. ძველ დროში სპარტელებმა, საშუალო საუკუნოე-ბში სასულიერო წოდებამ და ახალ დროში ნემცემმა ბევრნაირად არივ-დარიეს როგორათაც სწავლა-აღზრ-დის საშუალებანი, ისე მიზანი სას-წავლებლის მოქმედებისა. ისედაც მძიმე და რთულ საქმეს სკოლის მოვალეობისა მოხსენებულმა ადა-მიანებმა ზედ დააცეს კიდევ სხვა და სხვა მოსაზრებანი: პოლიტიკუ-რი, სარწმუნოებრივი, ვიწრო პატ-რიოტული და ამგვარ სკოლებში და-მანხიჯებული ხალხით კიდევ იმარ-ჯვებდნენ მსოფლიო ასპარეზზეა. მაგრამ განა ხანგრძლივი იყო ესეთი გამარჯვება? განა პირუთენელმა ის-ტორიამ არ აღნიშნა ამ გამარჯვე-



ბულითა მანვე შეცდომილებანი? გა-  
ნამან არ დაპყრო და გაპყრეს მათი  
ბარბაროსული მოქმედებანი?..  
არბოელი.

30 იანვარი, 1896 წ.

# უცხოეთი

**იტალია.** იტალიის საქმეები აფ-  
რიკაში მეტად აწეწილ-დაწეწილია.  
უკანასკნელ ცნობებიდან ჩანს, რომ  
ზოგიერთი ერი, დღემდის იტალიის  
ქვეშევრდომი, გადუღდა იტალი-  
ელით. იტალიის მთავრობა ახლა  
უნდა ეცადოს ახლანდელს მფლობე-  
ლობას მოუაროს და თავისი გავლე-  
ნა აფრიკაში სამუდამოდ არ დაპ-  
ყაროს. სამინისტროს წევრთა შო-  
რის უთანხმოება შესუფევს: ზოგი  
მინისტრი იმ აზრისაა, რომ აბესინი-  
ასთან ომი შეწყვეტილ უნდა იქმნა-  
სო, ზოგიც, მათ შორის უმეტესად  
კრისპი, ომს არჩევს. უკანასკნელ  
დღეებში კიდევ გაზავნულ იქმნა  
აფრიკაში ახალი ჯარები.

**ინგლისი.** ინგლისის ფლოტი აღე-  
მატება ევროპის სახელმწიფოთა სა-  
ზღვაო ძალებს, მაგრამ მიუხედავად  
ამისა, ინგლისის მთავრობას, გაზეთე-  
ბის სიტყვით, განუზრახავს კიდევ  
ავგოს ახალი გემები. ამ გარემოებას  
გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლე-  
ვენ და ფიქრობენ, რომ ფლოტის  
გაძლიერებას კავშირი აქვს შორე-  
ულს აღმოსავლეთში აწეწილ საქმე-  
ებთან.

**ესპანია.** ამ დღეებში კუბის კუნ-  
ძულიდან დაბრუნდა ესპანიაში მარ-  
ტინეც კამპასი, ესპანიის ჯარის სა-  
რდლად ნაყოფი კუბაზე. მადრიდის  
მცხოვრებნი მეტად მტრულად მიე-  
გებნენ მარშალს. ხალხი აღელვებ-  
ბული იყო და პოლიციასთან შეტა-  
კებაც მოუვიდა. პოლიციის შემო-  
აკვდა ერთი კაცი, რომლის დამარ-  
ხვის დროს რესპუბლიკანელებმა მა-  
ნიფესტაცია მოახდინეს. მანიფესტა-  
ციამ გამოაშკარავა, რომ რესპუბლი-  
კის მომხრეთა რიცხვი მრავალი ყო-  
ფილა მადრიდში.

## შურნალ-გაზეთები და წიგნები

— დიდი რამ არის თურმე კაცმა იცო-  
დეს როგორ უნდა მოაწიოს ძილი. მძინა-  
რეს გრძობიერება-კი არ ეკარგება, რო-  
გორც ჰგონიათ, ცოტადანდა აკლდება. მძინა-  
რე ადამიანი, როგორც მღვდარე, ჰგონ-  
ობს სინათლეს, ხმაურობას, ღიტიანს, სი-  
ცივეს, სიცხეს. ესენი არიან თურმე მიზეზნი  
სხვა-და-სხვა სიზმრებისა და არა იშვიათად  
გამოდებიანაც. აშკარაა, რომ საწოლი,  
რაც შეიძლება, შორს უნდა იყოს ხმაურო-  
ბისაგან და მზის სინათლე პირდაპირ არ  
უნდა სცემდეს.  
რადგანაც სულთქმა და სისხლის ტრიალი  
გვამში ძილის დროს უფრო მძიმე და აუზ-  
ქარებელია, ამიტომაც კაცმა უნდა იფიქ-  
როს ჰაერის ფაქიზობისა და სიწმინდისათვის  
ძილის დროს უფრო, ვიდრე მღვდარების  
დროსა. სამწუხაროდ, ამას ძალიან ნაკლებ-  
ად ჰნადვლობენ. საძილოდ იმისთანა ოთახს-  
კი არ ირჩევენ, რომელიც ფართოა და რო-  
მელსაც წმინდა და საღი ჰაერი აქვს, არამედ  
ბნელ და ვიწრო ოთახს. ან მიგდებულ რას-  
მე კუთხეს სახლში, რომელშიაც ჰაერი არა  
მუშაობს საკმაოდ. ძილს თითქმის ერთი მე-  
სამედი დრო მიაქვს კაცის სიცოცხლისა და  
აბა იფიქრეთ რა ხეირი უნდა დაეყაროს  
ადამიანს, რომელიც იძულებულია ეს ამო-  
დენა დრო დასწულ და უწმინდურ ჰაერში  
გაატაროს.  
საწოლი ოთახი, ანუ, უკედ ვთქვათ, სა-

ძილო ოთახი უნდა ფართო იყოს, წმინდა  
ჰაერით, რაც შეიძლება ნაკლებ და სადად  
იყოს მორთული და რაც საძილოდ საჭირო  
არ არის არაფერი არ უნდა იყოს ოთახში.  
იმიტომ რომ, მაგალითებრ, მეტი მეტი,  
ფარდები, ხალიჩები და სხვა ამისთანა ბარ-  
გი-ბარხანა უშლის თავისუფლად ტრიალს  
ჰაერისას. ყოველ შემთხვევაში, კაცი უნდა  
ჰკლიდობდეს, ჰაერი კარგად მუშაობდეს  
ოთახში, რაც შეიძლება ოთახში ცხელა, ძილი  
წმინდად იყოს და აგრეთვე შესაფერი სით-  
ბა ჰქონდეს.

სითბო საძილო ოთახში ცოტა მეტი უნ-  
და იყოს სხვა ოთახებზე, რადგანაც მძინარე  
კაცი უფრო მგრძობიერია სიცოცხისა, ვიდრე  
მღვდარე. ეს ხომ ესეა, მაგრამ გადამეტე-  
ბული სითბოც არ ვარგა. ყველამ იცის,  
რომ თუ საძილო ოთახში ცხელა, ძილი  
ადადამიანს მოუხვედრია, ადამიანს ცუდი  
სიზმრები მოეცემა და აწუხებს, ხშირად აღ-  
ვიძებს კიდევ.

ტახტი, რაზედაც გაშლილია ქვეშაგები,  
იატაკიდან ერთს არაშინებ მალა მინც უნ-  
და იყოს, არ ვარგა, იატაკზე გაშლილი  
ქვეშაგები, ჯერ იმიტომ რომ ძირს უფრო  
მეტად ცხელა, ვიდრე მალა და ადვილად  
შეიძლება ადამიანი გაცივდეს და მერმე—  
ადამიანის ამონახულთქმი რადგანაც ჰაერზე  
მძიმეა, ძირს იკრიბება და მასთანავე ძირს  
ჰაერი უფრო წამხდარი იქნება, ვიდრე ცო-  
ტა ზემოდ. სიგრძე-სიგანე ქვეშაგებისა ადა-  
მიანის სიგრძე-სიგანეზე გაშორებით მეტი  
უნდა იყოს, რომ მძინარეს შეეძლებოდეს  
თავისუფლად და გაუჭირებლად მოძრაობა  
ქვეშაგებში. თვითონ ქვეშაგები არ უნდა  
იყოს არც მეტად ლბილი, არც მეტად ხმე-  
ლი. ყველაზე უკეთესია, რომ ლეიბი ცხენის  
ფაფრის ბალნით იყოს გატენილი და უშ-  
რო უკეთესია თურმე ვაზაფხულის ნათესის  
ჩალითა. ჯერ რომ ამისთანა ლეიბი იფუად  
დაჯდება, მერმე ხშირად შეიძლება ცელა  
ჩაღისა და ეს ხშირი ცელა მით არისო კარ-  
გი, რომ ახალი ჩალა ძველზე უფრო წმინ-  
დაა ხოლმე. ყველაზე უარესი ამ შემთხვევა-  
ში ბუმბულის ლეიბია, უფრო იმიტომ,  
რომ ბუმბულის ლეიბმა ოფლის მოგვრა  
იცის მაშინაც, როცა საჭირო არ არის და  
მასთანავე მარეხილია. ამიტომ ძალიან  
მძიმე და თბილი საბანოც არას გზით სა-  
სურველი არ არის. საბანი უნდა სუბუქი  
იყოს და მარტო ზამთრობით თბილი.

მძინარეს თავი მალა უნდა ედოს. დაბ-  
ლა როცა თავი უდევს, სისხლი თავში ას-  
დის და ამის გამო ცუდი სიზმრები ელანდე-  
ბა კაცს და ხშირად თავის ტკივილიც  
მოჰყვება ხოლმე. ბალიშებიც არ უნდა იყოს  
არც ძალიან ლბილი, არც ხმელი.

ქვეშაგები ადამიანისა ისე უნდა იყოს  
მოწყობილი, რომ მძინარეს ფეხები  
თბილად ჰქონდეს და ნიაფი არ ეკა-  
რებოდეს. ამისათვის იმ მხრივ, სა-  
ითაც მძინარეს ფეხი აქვს გაწვდილი, საწო-  
ლი აფარებული უნდა იყოს ან ფიქრით, ან  
ხალიჩით და სხვა რაიმე ფარდით. თქმა არ  
უნდა, რომ ქვეშაგები ბუხარითა და ამის-  
თანა საცეცხლსთან ახლა არ უნდა იყოს,  
არც კართან, არც ფანჯარასთან. საწოლის  
წინ უსათუოდ რამ უნდა ეშალოს, რომ გა-  
ღვიძებულმა ცივს იატაკზე არ დადგას ფე-  
ხი, ნამეტნავად წამლით წასმულზე. ბევრი  
სწეულება, რომლის მიზეზი გაციებაა, აქე-  
დამ თურმე წარმოსდგება. (5.)

— ქამის დროს ცივის წყლის სმა მაწყი-  
ნარია თურმე და მავნებელი, რადგანაც ცი-  
ვი წყალი ძალიან აცივებს სტომაქს და ეს  
ამძიმებს მონელებას საჭმლისა და კუჭს აბ-  
რკალდება. ამიტომაც ურჩევნია მკურნალნი,  
რომ ქამის დროს არა სვან ცივი წყალი, და  
თუ სურთ, ნახევარ საათით წინაღ ქამედ  
დალონო, ისიც არა უმეტეს ერთი ჰქონ-  
სა. ეს კუჭისათვის სასარგებლოც არისო  
ქამის შემდეგაც შესაძლოა სმა წყლისა,  
მხოლოდ ერთი საათი მინც უნდა გავიდეს  
და მის მერმე, რადგანაც რაკი ერთი საა-  
თი გავა ქამის მერმედ, მაშინ საქმელი იმო-  
დენად მონელებულია, რომ წყალი ვედარას  
აბრკოლებს, ოღონდ-კი ძალიან ცივი წყა-  
ლი არ იყოს და ბევრიო, დღინა-კი ქამის  
დროს არას აწენებს, თუ ზომიერად დალევს  
ადამიანო. (5.)

## რადეინიმი სიტუა ივანეში „მრ- ბის“ შემოღების შესახებ.

ჩვენში ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ,  
ვერ შეუცნობიათ ხოლოცებისა ის აზრი,

რომ არსებობს საერთო, საზოგადო  
ინტერესი, არის ისეთი რამ საქმე,  
რომელიც ყველა ჩვენგანს ერთნაი-  
რად ეხება, ერთნაირად ეინტერესე-  
ბა. მართალია, შესახებდავად ბევრი  
საერთო, საზოგადო საქმე ჩნდება  
ჩვენში ამ ბოლო ხანებში, მაგრამ  
ყველა დამეთანხმებით, რომ ყოველი-  
ცე ესლანდელი ჩვენებური საქმე, რა-  
ღაც „საქმელ-მოქმელი“ დაწესე-  
ბულებათა, რაღაც „სამადლო“ საქ-  
მეა, რომელიც უმეტესობას სავალ-  
დებულოდ არ მიანიძა, სწორედ ამით  
აიხსნება გულ-გრილობა ჩვენის სა-  
ზოგადოებისა, მისი მოქმედების უფე-  
რულობა. ისიც-კი არ უნდა დავი-  
ვიწყოთ, რომ ცხოვრება და საზო-  
გადოდ პროგრესისი უშუალოდ კაცე-  
ბის მოღვაწეობისაგან შესდგება:  
გენიოსები, ზომავედ გადასული დი-  
დი ნიჭის პატრონი კაცი უჩვე-  
ულო, ფენომენალური მოვლენა  
ცხოვრებაში; ამიტომ, ყოველი-  
ცე ხალხმა, რომელსაც კი უნდა  
თავის კეთილ მდგომარეობის საქმე  
სამუდამოდ საიმედოდ მოაწყოს, ამ  
„შუათანა კაცებისთვის უნდა იზრუ-  
ნოს. საზოგადო საქმეში რაინდობა  
ძნელი მოსათხოვია ყოველივე კერ-  
ძო ადამიანისგან; უსამართლობა იქნე-  
ბა საზოგადოებამ მოითხოვოს თავი-  
სი წვევრისგან: „დაივიწყე ყოველივე  
შენი პირადი სიამოვნება, შენი კერ-  
ძო ცხოვრება, ბედნიერება და მე-  
სახურე მეო“;— შეიძლება ეს ერთმა  
და ორმა კი შეასრულოს, მაგრამ  
უმრავლესობა მინც ამას გაიძახის:  
„ჯერ თავო და თავო“ და მერე  
საზოგადოებო. ამიტომ საზოგადო-  
ება ყოველთვის უნდა ეცადოს ისე  
მოახერხოს, რომ ყოველივე თავის  
კერძო წვევრის ცხოვრების ინტე-  
რესი შეათანხმოს, დაუკავშიროს  
საზოგადო საქმეს; მოაგვაროს ისე,  
რომ ყოველივე კერძო პირის კეთილ  
მდგომარეობა საზოგადო საქმეების  
კეთილ მდგომარეობაზედ იყოს დამ-  
ყარებული.

აი მაშინ შეიძლება საზოგადოებამ  
მოსთხოვოს თავისს წვევრებს ანგარი-  
ში, მაშინ შეუძლია საზოგადოებას  
სამართლიანად წარმოსთქვას საყვე-  
დური თავისს უსარგებლო წვევრების  
მიმართ. დღეს-კი ჩვენ საზოგადოებას  
ამის ნებაც არა აქვს, თუმცა მისი  
წვევრების უფარვისობა, საერთოდ ყვე-  
ლასაგან ცნობილია და აღიარებული.  
მართლაც რომ დავაკვირდეთ, რა  
შრომა, რა ღვაწლი მიუძღვის ჩვენს  
საზოგადოებას თავისს ახალგაზდა-  
მომავლის და ესლანდელის მოღვა-  
წეებისადმი? სრულიად არავითა-  
რი. ჩვენებური საზოგადოება, არა  
თუ მამობას, მაშინაც ცლობასაც არ  
უწყებს თავიანთ შეილებს: ის სტო-  
ცებს მათ სრულიად უყურადღე-  
ბოდ ბავშვობის დროს; არავითარ  
მზრუნველობას არ უჩენს ვაჟკაცობის  
დროს, ჩვენებური ყმაწვილები, თავის  
„კერძს“ ძალიან-უნებურად მოშორე-  
ბულნი, ყოველგან უპატრონოდ, ობ-  
ლად დახეტიალობენ; თავისს თავზედ  
თვით უნდა იზრუნონ მუდამ, რო-  
გორც სწავლა-განათლების მოსაზო-  
გებლად, ისე ცხოვრებაში თავის შე-  
საფარის სამეზნელად. იმის მაგიერ, რომ  
ჩვენმა საზოგადოებამ თავისი იმედი,  
სანუგეშო ახალგაზდობა დანგრეული  
ოჯახის ასაშენებლად მოიხმარო, ზურგს  
უბრუნებს მას და მათ რაღა  
დარჩენიათ, თუ არ ის, რომ წაი-  
დენ სხვის ბოსტანში სამუშაოდ,

სხვის სასამსახუროდ. ჩვენი საკუთა-  
რი საქმეები-კი რჩება უპატრონოდ.  
ყოველ საზოგადო საქმეს, რაც უნ-  
და მარტივი იყოს იგი, ეპირება  
მუდმივი გატაცებული, შეუწყვე-  
ტელი მუშაობა; არ შეიძლება  
რაიმე საზოგადო საქმე გაკეთ-  
დეს გავრით; ყოველივე საქმეს  
თავის საკუთარი სამუდამოდ მისთვის  
დანიშნული, მიჩინილი მუშა უნდა  
ჰყვედეს; ჩვენში-კი ეს ამ ყაზად მო-  
უხერხებელია, რადგანაც ჩვენებური  
საზოგადო საქმე სხვას გარდა სხვის  
ხელთ არის, მაგრამ რამდენადაც იგი  
საქმე ჩვენ ხელთ არის, უნდა ვეცო-  
დოთ რიგინად, ჩვენთვის სასარგე-  
ბლოდ მოვაწყოთ. ამიტომ საქირაა  
მიუჩინოთ მას საკუთარი მუშები,  
შევექნათ ყველა წვევრებისათვის სა-  
ვალდებულოდ საზოგადო საქმეების-  
თვის მოღვაწეობა. აი ამისთვის ამ  
ყაზად ერთი საშუალება არის, რო-  
გორც „ივერიის“ ერთ ფურცელზედ  
იყო აღნიშნული\*) „ერობა“. ერ-  
თად-ერთი ჩვენთვის საქირა, სასარ-  
გებლო ხასიათი ესლანდელ რუსეთის  
„ერობას“ კიდევ შერჩა. ეს ის, რომ  
იმის შემწეობით მიეცემა საშუალება  
ადგილობრივ მცხოვრებთ მიიღონ  
მონაწილეობა საზოგადო საქმეების  
მართვა-გამგეობაში. უმთავრესი ნაკ-  
ლულგანება ესლანდელის „ერობი-  
სა“ ის არის, რომ მისი სიავ-გარგე  
არის დამოკიდებული კერძო პირების  
პირად ხასიათზედ და სინიღისზედ;  
ეს, რა თქმა უნდა, ორ-პირი მახვი-  
ლია და დიდი უსამართლობაც ხდება  
ხშირად აქედამ, მაგრამ ღირსებებიც  
აქვს, რომლითაც შეგვიძლია ვისარ-  
გებლოთ.  
რადაც ინტიქტიურად მრწამს,  
რომ ჩვენს ახალგაზდობას, ჩვენს ყმა-  
წვილობას, რაც უნდა დარიბი, უბა-  
დრუკი, ჩლოუნგი იყოს ის გონებით  
და გრძობით, რადაც საზოგადოებ-  
რივი ინტინქტი მინც აქვს. ამას,  
შეიძლება, ისტორიული მიზეზე-  
ბიცა აქვს. ჩვენი მამა-პაპები რომ  
სჯულსა და სამშობლოს ყოველივე  
კერძო ბედნიერებას სწირავდენ, ეს  
უმნიშვნელოდ არ დარჩენილა შთა-  
მომავლობისთვის; ჩვენც ძილი-უნე-  
ბურად რადაც გვიწევს საერთო  
საქმისაკენ საზოგადოებისთვის სასა-  
მსახუროდ. მაგრამ ჩვენ დასაშუაზროდ  
ჩვენს ამგვარ დაუფასებელ ნიჭს,  
ჩვენს რაინდულ ლტოლივლებას არ  
აქვს გასავალი გზა.  
დარწმუნებული ვარ, ჩვენი ესლან-  
დელი „მამარაინი“ ყმაწვილები, რო-  
მლებიც ყოველ წლოებით ცოცხე-  
რებში იგზავნებიან ჩასამარხავად,  
რიგინი სასარგებლო მოღვაწეები  
იქნებოდნენ, რომ ჩვენ რამე საერ-  
თო, საზოგადო, საქმე გვექონდეს, იმი-  
სთანა საქმე, რომელშიაც ყველას შე-  
ეძლოს მონაწილეობის მიღება. ამიტომ  
ზნეობრივი მოვალეობაა, ვალდებუ-  
ლება ჩვენი საზოგადოებისთვის, ყო-  
ველივე ღონე იხმაროს და ამ გვარი  
საერთო საქმე შექმნას. დიდი დანა-  
შაულებაა, ცოდვა საზოგადოებისა-  
თვის ასე გულგრილად ეკიდებოდეს  
თავის შეილების, თავის წვევრების  
მდგომარეობას, ასე უპატრონოდ  
სტოვებდეს მათ აწმყოსა ღ მონაწილს.  
ჩვენ საზოგადოებას ჩარაფერი ისტო-  
რიული მოვლენით, არაფერი გარე-  
მოებით, თავის დღეში არ უსარგე-  
ბლია; საუბედუროდ ჩვენდა, რო

გორც ირაკლის დროს ვიყავით ყო-  
ველივე პოლიტიკურს, დიპლომა-  
ტიკურს ნიჭს და მოსახრებას მოკლე-  
ბული, ისეთივე ვართ დღესაც:  
ერთხელ მინც ავსცილდეთ ამ  
ჩვენ ტრადიციონალურ ჩვეულე-  
ბას და პოლიტიკურად მოვიქ-  
ცეთ. აი ამიტომ, როგორც უკვე  
შემჩნეული იყო, ესლა შემთხვევა  
გვაქვს ვისარგებლოთ ერთი გარემო-  
ებით, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყ-  
ებთ, რომ ესლანდელ დროში ჩუ-  
ქებისა, წყალობისა დიდი იმედი არ  
უნდა გვექონდეს. საქმის გაკეთებას დი-  
დი ხერხი სჭირია. ჩვენის აზ-  
რით ამ საქმისთვის საქირაა ამო-  
ირჩიოს კერძო კომისია, რომელ-  
საც დაველოს კარგად გასინჯოს სა-  
ქმე, ასწონ-დასწონოს და შეადგინოს  
პროექტი, კარგად დასაბუთებული.  
ადვილად შეიძლება ერთმა ბედნიერ-  
მა შემთხვევამ ვერ გვიშველოს, მა-  
გრამ ამიტომ-კი ნუ მივატებთ  
ჩინის საქმეს: შემდეგშიაც ვეცო-  
დოთ, თვით სატახტო ქალაქში  
უნდა გვეყავდეს წარმომადგენელი,  
რომელმაც კერძოდ, მოხერხე-  
ბით, ყოველნაირი პროტექციითა და  
გავლენით ისარგებლოს. დიდი მნი-  
შვნელობა აქვს ამ საქმეში თვით  
ადგილობრივ უმთავრეს ადმინისტრა-  
ციასაც, რომლის კეთილ-განწყობი-  
ლებით და დახმარებითაც უნდა ვი-  
სარგებლოთ. ერთი სიტყვით ჯერ-  
ჯეროთ ეს საქმე უნდა გავიჩინოთ  
საგანად, რომლის მისაღწევადაც ყო-  
ველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რო-  
გორც ვიცით, ტფილისში უკვე  
იყო ერობის შესახებ ლაპარაკი,  
მაგრამ ქუთაისის გუბერნიისი ჯერ  
ხმაც არ ისმის იმის შესახებ, შეიძ-  
ლება ისინი იმ აზრს ადვიან, რომ  
ჯერ ტფილისელებმა ითხოვონ და  
მერე ჩვენც „მოგვენიჭება წყალო-  
ბა“; მაგრამ დიდი შეცდომაა ეს: სამ-  
წუხაროდ ჩვენდა, როგორც ზოგიერთ  
ჩვენებურ უკაცებთ, ისე სადაც ჯერ  
არს, ტფილისისა და ქუთაისის გუბერ-  
ნიის მცხოვრებნი სულ სხვა-და-სხვა  
ტომების, სხვა-და-სხვა კულტურის  
ხალხად მიჩნიათ, ამიტომ ადვილად  
შეიძლება ტფილისს მიეცეს რამე და  
ქუთაისის საზოგადოება-კი არ იცნონ  
იმისავე ღირსად; ამისათვის მიუცი-  
ლებელია ერთად ვიზრუნოთ ამ სა-  
ერთო საქმისათვის და ეგებ რამე  
გამოვიტანოთ. რა თქმა უნდა, ეს  
„ერობა“ ისეთი „პანაცეა“ (ყოვე-  
ლივე ქირის მომჩინი წამალი) არ  
არის, რომ ყოველნაირ ესლანდელ  
გაქირვებისაგან გვისხნას, მაგრამ ჯერ  
ხანად მინც დიდი სასარგებლო რამ  
იქნება.

## ბიზლიზგრაფია. „მომამე“ № I.

პირველად ყოველისა ამ ნომერში  
უნდა მოვიხსენიოთ თარგმანი შექს-  
პირის დრამის „იულიუს კეისრისა“  
თ. ი. მაჩაბლისა. ჩვენ დიდის სიამო-  
ვნებით შევხვდით ამ ახალს თარგმანს  
და დიდ განძადაც მიგვაჩნია ჩვენის  
ლიტერატურისათვის თ. მაჩაბლის  
თარგმანები. თუ რამე ნაკლი აქვს  
ამ თარგმანს ენის მხრივ, იმედი გვაქვს  
პატივცემული მთარგმნელი შემდეგში  
შეასწორებს. იმედი გვაქვს აგრეთვე  
რამდენსამე საუკეთესო დრამის შექ.  
სპირისას. დრამა ინგლისურიდამ არის

\*) იხ. ივერია № 268



პირდაპირ თარგმნილი და ამით კიდევ უფრო საყურადღებოა. მხოლოდ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ რედაქციას ჟურნალისას, რომ ზოგიერთი ადგილები აურევდაურევია, მაგ. გვ. 130 და 131. ბრუტოსის სიტყვები კასიოს სიტყვებს აქვს მიკერბული და კასიოს ბრუტოსას.

საყურადღებოდ მიგვაჩნია აგრეთვე ბ-ნ ლი-გ.-ს პაწია მოთხრობა, რომელიც მეტად ცოცხლად და კარგად არის დაწერილი. მართალია მოთხრობის აზრი—რომ ბევრი არსების დაცემაში უღობივლი გარემოებაა მიზეზი და არა-თვით მათი ბუნება, რომელიც წინააღმდეგ მეტად პატიოსანია და რომ თვით დაცემული არსებაც არ დაჰკარგავს ხოლმე ყოველივე აღმინანის ღირსებას და შაშიაც მოიძებნება საუკეთესო მისწრაფებანი,—ეს აზრი არ ახალია, ძველია, ხოლო რა არის ახალი ქვეყანაზედ? ჩვენ მხოლოდ იმ მხრით უნდა გავისინჯოთ მოთხრობა, თუ ეს ძველი კარგად მაინც არის ასრულებული. მოთხრობა ეხება ჩვენს ახალგაზდების ცხოვრებას პარისში—რასაკვირველია მხოლოდ გარეგანად. აწერილია, თუ როგორ ერთი ყმაწვილი წაჰყვება ერთ კოკოტას, რომელთანაც ბაასი დაარწმუნებს, თუ რა დიდი გრძობებით გამსჭვალულია არსება ამ საბრალო, უნებლიედ გარყვნილის დედა-კაცისა. ზოგიერთი ადგილები მოთხრობისა სწორედ რომ ნიჭიერად არის დაწერილი.

ამ მოთხრობას აზრად აქვს გავიღვიძოს ღრმა გრძობა—სიბრალოებისა დაცემულისადმი. ამ სურათით ავტორს სწადინა გვიჩვენოს ჩვენი დანაშაულება, რომ ჩვენსავე მსგავსის უბედურების მიზეზი ჩვენა ვართ. „ყოველმა გაგონილმა და ნახულმა საშინლად ამაღლევა“ ამთავრებს მოთხრობას. ავტორი, „გული მომიკლა და თავებრუ დამეხვია, არ ვიცოდი რა მემართებოდა. თანაგრძობითა და აღტაცებით შეეყურებდი ამ „დაცემულ ქალს“ და თანაც მრცხვენოდა, რომ ისე კადნიერად, პირუტყვულად ვესტუმრე“.

მეტად გარკვეულად აქვს აზრი გამოთქმული ავტორს და ამიტომ სრულად მეტი იყო კიდევ ასეთი ფრაზის დამატება: გარნა რამდენია ქვეყნად, რომ ყოველის სიკეთით სავსეა და ეგ დიდი მადლი (სამშობლოს სიყვარული) კი არ ეკარება გულს. აქ კიდევ არ გვეხმის რას ეძახის ყოველს სიკეთეს ავტორი? არა გვეჩინა ავტორს აქ მატერიალური კმაყოფილება მიაჩნდეს სიკეთედ, ხოლო თუ ზნეობრივი სიკეთე აქვს აღამინანს, მას, რასაკვირველია, ეს გრძობა (სამშობლოს სიყვარულისა) არას დროს არ ეკლება. კარგი იქნებოდა ლექსიც არ ეთქმევინებია თავის გმირი ქალისათვის, რადგან მეტად უბემურია და უმარტილოა.

რაიცა შეეხება ბ. ფაულენიშვილის მოთხრობა „ევა“-ს, ბევრი ვეძიეთ „ნიჭიერი კალმის მოსმა“, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. ავტორს ფრიად მომხიბვლელი საგანი აუღია, მაგრამ შემუშავებით-კი ვერ შეუღუმავებია რიგიანად. ევა არის განათლებული ახალგაზდა ქალი, რომლის ცხოვრების

აზრსაც შეადგენს ხალხის სამსახური, მისის ზნეობრივისა და მატერიალურის ცხოვრების გაუმჯობესება. პირველივე ხელის შემშლელი მის მშობლებში უჩნდება. რამდენს და ცინებას, რამდენს ურიგო მოქცევას ითმენს მათგან? ბოლოს წავა ქალაქში სწავლის გასაგრძობად და... გზაში ეტლიდამ ვადმოვარდება და ხეს შეაკვდება. მეტად საინტერესო იქმნებოდა, რომ ავტორს ცოტა არის, ხეირიანად მაინც დაეხატა ამ ძველისა და ახლის ცხოვრების წარმოდგენლების ბრძოლა: დიდი ღრამა არის ამ ერთმანეთის გაუგებრობაში, ერთისგან მეორეს ტანჯვაში, მართალი იმიტომ, რომ მის აზრებს არ ეთანხმება და ქვეყნის დამქცევი ჰგონია. რა კარგი რომ იქნებოდა დენახვებინა ავტორს ეს უცნაურა და უღობივლი ზედ მოქმედება ოჯახისა და საზოგადოებისა ყოველს მის წევრზედ, ეს შეხუთვა და ბორკილის დადება პირადობაზედ. ამის მაგიერად ავტორმა თვით საუკეთესო ადგილზედ მოჰკლა თავისი გმირი, სწორედ იმ დროს შესწყვიტა მოთხრობა, როცა უნდა დაწყებულიყო ამ ქალის ბრძოლა ოჯახთან და საზოგადოებასთან. შეიძლება ამ ბრძოლიდამ ის დამარცხებული გაემოსულიყო, მაგრამ საქმე აქ ამაში არ არის, საინტერესოა და შესწავლის ღირსი თვით ეს ტანჯვით აღსავსე ბრძოლა.

ჯერ ვერაფერს ვიტყვით ქ-ნ ევაშვილის მოთხრობაზედ, რადგან დაუმთავრებელია. მოთხრობა ჩვეულებრივის ნიჭიერებით არის დაწერილი და მგონი მთელს ინტერესს მოთხრობისას ეს შეადგენს, ვინ ვინ-მარჯვებს, ნიკო, უბრალო სკოლის მასწავლებელი, თუ თ. იასონ ჯანბადრუკიანი გარყვნილი და გაქნილი ახალგაზდა. ორივენი ესენი ეტრფიან ერთს ქალს, რომელიც შეუძლებლობისა გამო სოფლის მასწავლებლად მიდის. ეს ქალი ჯერ-კი უფრო ყურადღებას აქცევს თ. იასონს. ამით გამარჯვებას სხვა მნიშვნელობაცა აქვს. პირველის გამარჯვებას მოჰყვება რიგიანი და აღამინაური ცხოვრება, ცხოვრება მალაღის აზრებით აღვსილი, ხოლო მეორისას უაზრო და ფუჭსავე ცხოვრების მუღუფება.

ბ. ალ. ფრონელის მეტად საინტერესო და ფრიად საყურადღებო ისტორიული წერილები, — მთიულეთი 1804 წ., — დამთავრდა ამ ნომერში. ავტორი ამ სიტყვებით ათავებს თავის წერილს: ჩვენი განზრახვა და აზრი იყო.

„მერყედაც აგვეხდა ფარდა იმ სისხელის ისტორიულად დამისათვის, რომელსაც სწავრთლადანად ქონდება ხანა სწავრთლადანად სწავრთლადანად თვით ანსუბობის მისხობისა, რაც შესაძლო იყო მეცადინეობა: არ დაეშუქეთ, რათა სავსებით დაგვეხატა სურათა ჩვენთა წინაპართა სულის გვეთებისა, ესდამდობით ჩაგვეხატა მათი სულის სიღრმე და გადგეგმულს მკითხველს თქალის წინ მათი ავიცა და კარგიცა, საქმენი სავსებით და საუკუნოდ“...

„თუ ჩვენს სუთ ყოველივე, მხოლოდ ამიტომ, რომ ვერცაფეთ ჩვენს წარსულად, დიდებულად და თავ-

მოსაწონებელი იგი, თუ სამარცხვინო და სთავაჯლო. ძველს სთავაჯლო ამაზს, ძველს უბედურებს, დღეს ისტორიით გამოქვეყნებულს, ვაჟკაცურად უნდა დაგვეხატო; გული არ გავიტყოს და მხნად შეგუდგეთ წამხნად საქმის განაკებას, გამოტრიალება. ჩვენ დამადა გვეწამს ბედნიერი შემთხვევა და მომავალი ჩვენის ხატარა ქვეყნისა... და ეს ძველსა და რბილში გამოქვეყნად რწმენა გვაბუდეებს თანამად, მოუხიდავებლად ავს ავი გუწოდეთ და კარგს კარგად“.

მადლობის და თანაგრძობის ღირსია ბ. ფრონელი ასეთის შრომისათვის, ხოლო რამდენად მაღალია მან თავისს აზრს, ამის გარჩევა სპეციალისტებისათვის მიგვიჩნდება.

სასიამოვნოდ მიგვაჩნია ისიც, რომ პატივცემული ავტორი გვიპირდება მომავალში შემდეგ ისტორიულს ამბებსაც: „საქართველოს ვიცე-კანცლერი სოლომონ ლეონიძე“, „ბატონიშვილი ალექსანდრე“, „ტოტლებენი საქართველოში“, „სამეგრელოს უკანასკნელი დღენი“, „იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II“, „სპარსეთის შაჰი ალა-მომედ-ხანი“, „აბაზ ხანი და საქართველო“, „მთის არწივი შამილი“ და სხვანი. ექვი არ არის მეტად სასარგებლო და დიდად პატივსაცემელი შრომა დაუწყია ავტორს, უსურვებთ სულითა და გულით გამარჯვებას.

ამ ნომერში საპოლიტიკო მიმოხილვაც არის და სალიტერატუროც. უკანასკნელზედ ჯერ არის ვიტყვით, რადგან ავტორი გვიპირდება გარკვეულს და შეიძლება მაშინ უფრო ვრცლად მოვილაპარაკოთ.

ჟურნალის ნომერი მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას გვგვრის. სწორედ საყვედურის ღირსი იქნება ჩვენი საზოგადოება, თუ ამ გამოცემის შესახებ გულგრილობა გამოიჩინა. ჟურნალის დაარსება მიუცილებელს საქორეობას შეადგენდა ჩვენთვის. ამ ჟურნალს ძალიან კარგად მიჰყავს საქმე და ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შესძინა ჩვენს ღირსს საქმეს არ შეუძლია ჩვენს ჟურნალს, ხოლო სხვა რაც მის ხელთ არის არ იზურებს და საქმეს სინდისიერად მიუძღვის, რამდენ რამდენადაც ხელი შესწევს, რასაკვირველია.

წერილი რედაქციის მიმართ.

უმარჩინესად გთხოვთ თქვენს მატრიცულ გარკვეულ ფურცელზედ მდებარე ადგილად დაუთმეთ ამ წერილს, რომელთაც უღრმესს მადლობას ვსწიბრებ ჩვენს მოწყობებულთა ქალ-ოჯახსა და გონსტანტინეს ასულს გუბელამისას, რომელსაცაც მეგობრისეგვიან ორგანიზაციის სკოლას ეგზავნება საყვარელი წერილისა „გვერდი“-ს ამ წლის ნომერში.

ზედამხედველი მეგობრისეგვის სკოლისა ფეოფ. კანდელაკი.

საქართველოს თავადნი.

თავადნი მაქუტაძენი. 6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს გუბიის თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი მაქუტაძენი: 1) ზოდნოლეკიანი და ვითი ივანეს ძე, ცოლი მისი დარეჯანი და შეიღნი მათ:

ნი: 1) ზოდნოლეკიანი ალექსანდრე და ვითის ძე, ცოლი ფეოდოსია, შეიღნი ამანია: მელქისედექ, სვიმონ, ელასაბედ, ბუბუსი, ეგვი, კომიტლეკა და ნატადა; 2) ზოდნოლეკიანი გიორგი და ვითის ძე და ცოლი ამანია მინაიკა; 3) სოფია; 4) სელაჩოზა და 5) მართა და ვითის ასული; II) გიორგი ნაღმანას ძე და ცოლი მისი სოფია და III) ბუნი ნაღმანას ძე.

დეგემა

(რუსეთის დეგემათა სააგენტოსათვის). 7 თებერვალი.

ლონდონი. პარლამენტში ჩემბერლენმა გამოაცხადა, რომ უკანასკნელ ცნობებში სანსო—კრიუგერ-რდორფთან ბრძოლაში 21 კაცი ჯამსონის ჯარისა არის მოკლული და 46 დაჭრილი. ბოერთა შესახებ-კი ცნობები არას ამბობენ. კიურზონი ამბობს, რომ 29 იანვარს 100 რუსის ჯარის კაცი სეულისაკენ წავიდა. მეორე დღეს კორეს მეფემ რუსეთის მისიის შენობაში შეიფარა თავი. ინგლისის კონსულის სურვილით ბრიტანიის მისიის დასაფარავად კორეს ტერიტორიაზე გადასვენს ბრიტანიის ლაშქარი, რომლის რაოდენობა კიურზონმა არ იცის. კიურზონს არა აქვს საბუთი იფიქროს, ვითომც რუსეთს სურდეს კორეს დაპყრობა.

მასსომა. გენერალი ბარათიერი იწერება, რომ ერთი საბატი და აგუსი გადუდგენ იტალიელთ და იერიში მიიტანეს კოლსლეთზე, რომელიც ალიგრატის სამხრეთით სდევს. კაბიტანი მაკავატა 300 კაცი თ წინ დახვდა მათ, მაგრამ მიმშველი ჯარის მოსვლამდე ბრძოლა არ დაიწყო. მაიორის ვალისა და 7 ბატალიონის მოსვლისათნავე აჯანყებულნი განდევნეს კოლსლეთიდან.

8 თებერვალი. კამბრუზის. გემების „ვლადიმირისა“ და „კოლუმბისა“ საქმის შესახებ, რომელთაგანაც ერთი—„ვლადიმირი“ დაიღუბა, სენატმა უარყო შემდეგი მუხლები ოდესისის სამსამართლო პალატის განაჩენიდან:

1) მუხლი, რომელიც „რუსეთის საზოგადოებისა“, თუმავეისა, ილნისა და სხვათა საჩივარს შეეხებოდა; 2) და ის მუხლი, რომელიც მოლდევრისა და სხვათა საჩივარს შეეხებოდა. დანარჩენი მუხლები განაჩენისა დამტკიცებულია. სენატმა საქმე იმავე პალატას გარდასცა ახალის განაჩენის დასადგენად.

ბელგრადი. მეფემ რუსეთის ელჩს კონსტანტინეპოლში წელიდოცს „თეთრის არწივის“ პირველის ხარისხის ორდენი უბოძა.

ლონდონი. კონსტანტინეპოლიდამ იუწყებინა, რომ ოსმალეთის მთავრობას ვარდა ინგლისისა ყველა სახელმწიფოებისაგან თანხმობა მიუღია პრინცი ფერდინანდი ბულგარიის მთავრად იქმნას აღიარებული.

ლონდონი. ჩემბერლენმა გამოაცხადა, რომ არავითარი პასუხი არ მიუღია კრიუგერისაგან, რომელიც ინგლისში მიიწვიეს. ამიტომ ჯერჯერობით არა ითქმის-რა იმის შესახებ, თანახმაა თუ არა კრიუგერი ინგლისს წვიდეს.

ლონდონი. ინგლისის ორი გამოჩენილი ვეჭილი კისრულობს ჯემონის სასამართლოში დაცვას. ყვედარწმუნებულთა, რომ ნაფიცი მსაჯულები უთუოდ გაამართლებენ ამ ინგლისელს მეკობრეს. როგორც იუწყებინა, კრიუგერს ლონდონში წასვლა განუსაზღვრელ ვადამდე გადაუდგია; საეჭოა, რომ კრიუგერი ლონდონში ჩამოვიდეს.


„ივარის“ ფოსტა

ვლადიმეროვი, ბ-ნ „Ignotus“-ს: თქვენი კრიტიკული გარჩევა ბ-ნი როსტომ-შვილის ანბანისა ჩვენ მივიღეთ დეკემბერში. მისი დაბეჭდვა გადავიდეთ შემდგისათვის, რადგანაც სადაღო წერილები ბლომად გვეწონდა. მაგრამ ერთმა გარემოებამ ხელი შეგვიშალა. „კვალში“ ამას წინედ დაიბეჭდა ამავე ანბანის შესახებ წერილი, რომელშიაც ნაჩვენებია იგივე ნაკლულეგანებანი, რაიცა თქვენ გაქვე აღნიშნული. მართალია თქვენი გარჩევა უფრო ვრცელია და ასახელებს სხვა ნაკლულეგანებებსაც; მაგრამ მთავარი აზრები ერთი და იგივე ორივე გარჩევისა. ამის გამო ახლა მოუხერხებლად ვსთვლით თქვენი წერილის დაბეჭდვას. წერილი გვგზავნებთ.

კიევი, ს. კ-ს: „ქეთი“ არ დაიბეჭდება.

განსჯალკვანი

საქართველოს საზოგადოების გამომცემი ბ. დემურაშვილი და მ. დემურაშვილი.



თანახმად აღმწებებელ ნაწილის სავალდებულო დადგენილებათა §14-ისა, ფილაქანფენილების რიგზედ შენახვა, მათი ნაგვისა, ტაღისისა, თოვლისა და ყინულისაგან გასუფთავება და აგრეთვე მათი ქვიშით, მიწით, თუ ნაცრიდ მოფენა ყინვების დროს სახლის პატრონთა მოვალეობას შეადგენს, ამიტომ ქალაქის გავამრბაბ სთხოვს სახლის პატრონთთვის სახლებ წინ ფილაქანფენილები (ტოტუარები.) თოვლისაგან გასუფთავონ ხოლმე და სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად ქვიშით, მიწით, ან ნაცრით მოფინონ ხოლმე გაყინული ფილაქანფენილები. (3—2)

ქართველთა ამხანაგობის გამომცემი. ვლადიმეროვი. ქ. ტფილისში. თ. ალ. მახტანავის ძის ჯ. ორბელიანისა. ფასი 25 კაპ. იყიდება ამხანაგობის სკოლაში.